



**TBILISI HUMANITARIAN  
TEACHING UNIVERSITY**

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი  
ჯანდაცვის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი № 29 / 2016

თბილისი

03 ნოემბერი 2016 წ.

სხდომა დაწყების დრო: 11.00

სხდომის დასრულების დრო: 12.00

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფ. ილონა საყვარელიძე, პროფ. ნინო ორმოცაძე, პროფ. ტატიანა ზუბიაშვილი,  
პროფ. ხათუნა ქორიძე, პროფ. თამარ მოსიძე, ასოც. პროფ. რუსუდან დევნოზაშვილი,  
ასოც. პროფ. გიორგი ბერიაშვილი, ასოც პროფ. ხათუნა კალაძე, ასოც. პროფ. ვლადიმერ  
ხუტაშვილი

სტუდენტები: თ. ჩადუნელი, თ. სიყმაშვილი, თ. მერებაშვილი

ქვორუმი: 8

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: ლია ოზგაიძე

დღის წესრიგი:

რუსეთის ფედერაციის მოქალაქის იანა ჭელიძის მიერ რუსეთის ფედერაციის  
ჯანდაცვის სამინისტროს „ნიჟეგოროდის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიაში“  
გავლილი საგნების აღიარების საკითხი.

მოისმინეს: თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ილონა საყვარელიძის  
ინფორმაცია, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან  
შემოსული კორესპონდენციის (MES 7 1601294582) საფუძველზე საჭიროა ჯანდაცვის  
ფაკულტეტის საბჭოს დასკვნა სტუდენტ იანა ჭელიძის მიერ რუსეთის ფედერაციის  
ჯანდაცვის სამინისტროს „ნიჟეგოროდის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიაში“  
სწავლის პერიოდში მიღწეული შედეგების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების  
აღიარების თაობაზე. ფაკულტეტის საბჭომ განიხილა ცნობა აკადემიური მოსწრების  
შესახებ, რის საფუძველზეც გაკეთდა შედარება დიპლომირებული სტომატოლოგის  
ერთსაფეხურიან პროგრამასთან და წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დასკვნა, რომლის  
მიხედვითაც შესაძლებელია იანა ჭელიძეს უღიარდეს 116 კრედიტი (ოქმს თან ერთვის  
შედარების აქტი)

აზრი გამოთქვა: პროფ. ილონა საყვარელიძემ, ასოც. პროფ. რუსუდან დევნოზაშვილმა.

კენჭისყრის შედეგი: კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს დამსწრე 12-ვე წევრმა.

გადაწყვიტეს:

1.აკადემიური ცნობის მიხედვით, იანა ჭელიძეს ჩაეთვალოს და შესაბამისად დაუკრედიტდეს რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის სამინისტროს „ნიჟეგოროდის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიაში“ გავლილი სასწავლო დისციპლინები 116 კრედიტის ოდენობით;

2. გაეგზავნოს შედარების აქტი და ფაკულტეტის საბჭოს დასკვნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისათვის; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრიდან პასუხის მიღების შემდეგ საბჭო დაუბრუნდეს აღიარების საკითხის განხილვას;

3. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილებების ბრძანებაში ასახვა.

თავმჯდომარე:

მდივანი:



ი.საყვარელიძე

ლ.ობგაძე